„ჯორჯიან თაიმსი“ აგრძელებს ექსკლუზიურ ინტერვიუებს აშშ-ის მონკლეარის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან გროვერ ფერთან.

გროვერ ფერი:

„ჩეჩნების, ინგუშებისა და ყირიმელი თათრების ნაცისტებთან თანამშრომლობას ფართო ხასიათი ჰქონდა. „მხოლოდ დამნაშავეების“ გამოვლენა და დასჯა შეუძლებელი იყო.“

— ომის პერიოდში განხორციელებული დეპორტაცია შეიძლება თუ არა გენოციდად ჩაითვალოს?

— *ნიკიტა ხრუშჩოვმა*, 1956 წლის 25 თებერვალს, კომპარტიის მე-20 ყრილობაზე, დეპორტაციის მიზანშეუწონლობის 3 მიზეზი დაასახელა: 1) დეპორტირებას უწყობდნენგანურჩევლად ყველას, 2) დეპორტაცია არ იყო სამხედრო მიზეზებით გამოწვეული, 3) ზოგიერთი პიროვნების, ან ჯგუფების პირად ინტერესთა გათვალისწინებით ხდებოდა მთლიანად ერების დასჯა. არც ერთი მიზეზი სიმართლეს არ შეესაბამება. რუსი ანტისტალინისტი **ნ. ბუგაი** მიიჩნევს, რომ „...საბჭოთა კავშირმა, შეიძლება ითქვას, სწორად განსაზღვრა პრიორიტეტები, როცა გამოიყენა თავისი უფლებები, დაემყარებინა წესრიგი ფრონტის წინა ხაზზე და, განსაკუთრებით, სამხრეთ კავკასიაში...“

— აუცილებელი იყო თუ არა, გადაესახლებინათ მთელი ერები?

— აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი. პირველი — რამდენად ძლიერი იყო „პოვსტანჩესკური“ წინააღმდეგობა ამ ეთნიკურ ჯგუფებში და მეორე — გენოციდის საკითხი. მცირე ეთნიკური დაჯგუფებების განცალკევება, რომელთაც გააჩნიათ უნიკალური ენა, ისტორია და კულტურა, გენოციდს ნიშნავს.

თავის ცნობილ წიგნში „**გულაგი**“, **ამერიკელი ანტიკომუნისტი ანა აპელბაუმი** უარყოფს „პოვსტანჩესკური“ მოძრაობის არსებობას. მე ჩემს წიგნში **„Антисталинская подлость“**, ფაქტებზე დაყრდნობით ვამტკიცებ, რომ ანტისაბჭოთა მოძრაობა ამ ეთნიკურ დაჯგუფებებში დიახაც, რომ არსებობდა. მაგალითად, ჯარში გაწვეული ყირიმელი თათრების 90%-ი დეზერტირი იყო. **ცნობილი ანტიკომუნისტი ჯ. ოტო პოლი,** ეყრდნობა რა გერმანულ წყაროებს, აცხადებს, რომ ყველა დეზერტირი არ გადადიოდა გერმანელების მხარეს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მხარეს არ შეეძლო სწორედ განესაზღვრა, ვინ გადავიდა რეალურად გერმანელების მხარეს და ვინ — არა. 1942 წელს საბჭოთა არმიაში გაწვეული ჩეჩნებისა და ინგუშების 93%-ი ან იმალებოდა, ან დეზერტირობდა. 1943 წლის თებერვალში კი, პროფაშისტური დროშის ქვეშ გაერთიანებულმა ჩეჩენმა ნაციონალებმა რამდენიმე მნიშვნელოვან ანტისაბჭოთა გამოსვლაში მიიღეს მონაწილეობა.

ანტიკომუნისტი ემიგრანტი **გრიგორი ტოკაევი** თავის წიგნში **„Товарищ Икс“** და **ვიაჩესლავ მოლოტოვი, ფელიქს ჩუევის** წიგნში **“140 бесед с Молотовым”,** ამტკიცებენ, რომ ზემოთხსენებულ ერებში ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა მოძრაობას. თუმცა **ვიქტორ ზემკოვი**, რომელიც სტალინისადმი დიდი სიმპათიით არ გამოირჩევა, აცხადებს, რომ 151 720 გადასახლებული ყირიმელი თათარიდან, გადასახლებისას, გზაში მხოლოდ 191 კაცი დაიღუპა.

ბუგაისა და გომოვის მიერ მოყვანილ ცნობებში ვკითხულობთ: „ნკვდ-ს მასალების მიხედვით, 493 269 ჩეჩენის, ინგუშისა და სხვა ეროვნულ უმცირესობათა გადასახლებისას გამოყენებულ იქნა 180 სარკინიგზო ეშელონი. გადაყვანისას 1272 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 50 მოკლულ იქნა“. შეიძლება ეს ციფრი ბევრად ნაკლებია, ვიდრე ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარდაცვლილი საბჭოთა ადამიანების რაოდენობა.

— და მაინც, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ფაქტებისა, თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს გენოციდი არ ყოფილა?

— ჩეჩნების, ინგუშებისა და ყირიმელი თათრების ნაცისტებთან თანამშრომლობას ფართო ხასიათი ჰქონდა. „მხოლოდ დამნაშავეების“ გამოვლენა და დასჯა შეუძლებელი იყო. ამას შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მივეყვანეთ, რადგან ეს გამოიწვევდა დასაქორწინებელი მამაკაცების სრულ განადგურებას.

— თუ კოლექტივიზაცია, ე.წ „გოლოდომორი“ და დეპორტაცია არსებული მდგომარეობის გამო გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს, რატომ აკრიტიკებენ მას მსოფლიოს ისტორიკოსები?

— ეს არც ისე რთული წარმოსადგენია, რადგან საბჭოთა კავშირის ისტორია, განსაკუთრებით კი სტალინის პერიოდი, ანტიკომუნისტების, კაპიტალისტი „ლიბერალებისა“ და „კონსერვატორების“ მიერ არის „გათახსირებული“. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დეპორტაცია გამოწვეული იყო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ნაცისტებთან თანამშრომლობით.

ის ხალხი, ვისაც დეპორტაცია შეეხო, გერმანელებთან თავის თანამშრომლობას „ამართლებს“. ამიტომაც არის მათ მიერ დეპორტაცია „გაუმართლებელი“.

1930-იან წლებში, უკრაინელმა ნაციონალისტებმა გერმანელების დახმარებით, „გოლოდომორის“ ფაბრიკაცია წამოიწყეს. **აწ გარდაცვლილი კანადელი მკვლევარი დუგლას ტოტლი** თავის წიგნში **”Ложь,Голод и Фашизм:Миф об украинском геноциде от Гитлера до Гарварда”** ამას ამტკიცებს. 1987 წელს, როცა ეს სტატია წავიკითხე, მასთან შესახვედრად, ტორონტოში გავემგზავრე.

გაგრძელება იქნება

იაკობ ჯულაშვილი
ეკა ბუჩუკური